დანართი N2

დამტკიცებულია სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2019 წლის 04 ნოემბრის N 02-03/157 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"
აცხადებს ღია კონკურსს
რადიოს შემეცნებით-გასართობი პროგრამათაშორისი რუბრიკების შესყიდვაზე

შესაძენი პროდუქცია:

შემეცნებით-გასართობი პროგრამათაშორისი რუბრიკები შემდეგ თემებზე:

1. **„იმოგზაურე საქართველოში"** - რუბრიკაში მოთხრობილი უნდა იყოს საინტერესო, დღემდე უცნობი ან ცნობილი ფაქტები საქართველოს ტურისტული მარშუტების შესახებ. ცნობილი და ახალი ლოკაციები. ისტორია, მახასიათებლები. რუბრიკა არ უნდა შეიცავდეს კომერციული ობიექტების რეკლამას
   ქრონომეტრაჟი: არაუმცირეს 2 და არაუმეტეს 6 წუთისა.
   რაოდენობა: 100 (ასი) ერთეული
   ფორმატი: რადიო რგოლები
2. **„სამზარეულო"** - რუბრიკაში მოთხრობილი უნდა იყოს ერთი კერძის მომზადების რეცეპტი.
   ქრონომეტრაჟი : არაუმცირეს 2 (ორი) და არაუმეტეს 6 (ექვსი) წუთისა.
   რაოდენობა: 100(ასი) ერთეული
   ფორმატი: რადიო რგოლები

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

განცხადებების მიღების დაწყების თარიღი : 04 ნოემბერი 2019 წ.

განცხადებების მიღების დასრულების თარიღი: 19 ნოემბერი 2019წ.

პროექტის განხორციელების პერიოდი: 2019 წლის 20 ნოემბერი-2020 წლის 31 იანვარი

დაფინანსების ოდენობა: 5000 (ხუთი ათასი ლარი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის/გადასახდელის ჩათვლით.

ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად.

გამარჯვებული ვალდებული იქნება არაუგვიანეს 2019 წლის 20 დეკემბრისა წარმოადგინოს მოსაწოდებელი ვიდეორგოლების ღირებულების შესაბამისი თანხის ოდენობის წინასწარი ანგარიშსწორებისათვის საბანკო გარანტია.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) მსგავსი თემატიკის რუბრიკების შექმნასა და მომზადებაზე მუშაობის ორგანიზაციაში დასაქმებული პირ(ებ)ის გამოცდილება. გამოცდილება დადასტურებული უნდა იქნეს ხელშეკრულებით ან/და წარმოდგენილი რეზიუმეთი.

ბ) ანალოგიურ თემატიკაზე მის მიერ მომზადებული რუბრიკების სულ მცირე 3 ვარიანტი (ელექტრონული ფორმით)

გ) მოსამზადებელი რუბრიკის სულ მცირე 10 თემა

დ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ე) დაფინანსების ოდენობის ხაჯთაღრიცხვა.

გამარჯვებული განმცხადებლის მიერ მოსაწოდებელი გადაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) რუბრიკების თემატიკა შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით დადგენილ/განსაზღვულ სტანდარტებს

ბ) მოწოდებული რუბრიკები უნდა იყოს შეფუთული სრულად (ანონსი, ქუდი, ტიხარი, ფონი) შეფუთვა წინასწარ უნდა შეთანხმდეს მიმღებთან.

გ) რუბრიკის ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს 2 წუთზე ნაკლები და 6 წუთზე მეტი

დ) მოწოდებული გადაცემა უნდა იყოს შექმნილი კონკრეტული კონკურსისთვის, უნდა იყოს ექსკლუზიური და აკმაყოფილებდეს რადიოს სტანდარტებს:

1. ამბავი (სიუჟეტის თემა) უნდა იყოს მაქსილამურად გასაგები და ლიტერატურულად გამართული ენით მოთხრობილი.

2. სიუჟეტში (გადაცემაში) გადმოცემული მოვლენა უნდა იყოს ამომწურავი რადიომსმენელისთვის. ის, რასაც ტელეეთერში მიმდინარე მოვლენის ასაღწერად კადრის მეშვეობით ასახავენ უნდა გადმოსცეს (მოგვითხროს) ჟურნალისტმა (ან რესპოდენტმა)

3. დასახელებული უნდა იყოს ყველა რესპოდენტი, ადგილი, მოქმედება, გამოყენებული სიმღერის ან მუსიკალური ნაწარმოების ავტორი ან შემსრულებელი (გამონაკლისს წარმოადგენს შეფუთვისთვის გამოყენებული აუდიო მასალა).

ე) რუბრიკის ქრონომეტრაჟის ნახევარზე მეტი უნდა შეადგენდეს ტექსტს (ისტორია, ინტერვიუ, მოსაზრება, კვლევა) დანარჩენი ნაწილი (აუცილებლობის შემთხვევაში) უნდა შეავსოს მუსიკამ. ფორმატი mp3.

ვ) კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იქნება დამკვეთის მიერ დადგენილი წესით წარმოადგინოს 2019 წლის 20 დეკემრამდე კონკრეტული თემატიკის 50 (ორმოცდაათი) მზა რუბრიკა. ხოლო რუბრიკების დარჩენილი რაოდენობა მოაწოდოს კონტრაქტით გაწერილი ვადის ამოწურვამდე ეტაპობრივად.

<u>მოწოდებულ პროდუქციაზე განსაკუთრებული საავტორო უფლებები ეკუთვნის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“</u>

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) კომიიის მიერ პროექტების შეფასება პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა

ე) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე, ან მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე info@ajaratv.ge გაგზავნის გზით.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

გთხოვთ, განცხადებაში მიუთითოთ რუბრიკების თემის დასახელება, რომელზეც შემოგაქვთ განაცხადი.

შენიშვნა:

კონკურსთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მათ შორის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის N02-03/14 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ტელერადიოპროდუქციისა ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის წესით/დებულებით (გამოქვეყნებულია http://adjaratv.ge);

პროექტის ბიუჯეტი (მაუწყებლიდან მოთხოვნილი თანხა)	შენიშვნა : * ხარჯი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
	** მწარმოებელმა მაუწყებელს უნდა წარმოუდგინოს გადახდის დამადასტურებელი დუკუმენტი, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად.
გადაცემის/რუბრიკის სახელწოდება:	*** წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის წინასწარ განსაზღვრულ პუნქტებს შორის შესაძლებელია ღირებულების ცვლილება არაუმეტეს 5%-ის ოდენობით.
	**** მესამე ნაწილი ივსება დღგ-ს გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში

№	ხარჯების კატეგორია	1-ლი ტრანში	მე-2 ტრანში	სულ
1	წარმოების პროცესში დასაქმებულთა ანაზღაურება	- Lari	- Lari	- Lari
1,1				- Lari
1,2				- Lari
1,3				- Lari
1,4				- Lari
1,5				- Lari
2	ადმინისტრაციული ხარჯი	- Lari	- Lari	- Lari
2,1	დაგროვებითი პენსიის 2% (ორგანიზაციის წილი)			- Lari
2,2	ტრანზაქციული ხარჯი			- Lari
2,3				- Lari
3	სულ წარმოებაზე	- Lari	- Lari	- Lari
4	გადასახადები (დღგ-18%)	- Lari	- Lari	- Lari
5	ჯამი	- Lari	- Lari	- Lari
ხელმძღვანელი		(სახელი, გვარი, ხელმოწერა)		შევსების თარიღი